



## 2014 წლის შედეგების შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ანგარიში

**რეზიუმე.** საზოგადოებრივ მაუწყებელში დაიწყო სისტემური გარდაქმნა. მისი მიზანია, რომ საქართველოს სამაუწყებლო სივრცეში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წამყვანი ადგილი დაიმკვიდროს სამაუწყებლო პროდუქციის ხარისხის, მისი სანდოობის, აქტუალობისა და ოპერატიულობის, ასევე უურნალისტიკის მაღალი ეთიკური, ესთეტიკური და ინტელექტუალური სტანდარტების დანერგვით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მუშაობა დაიწყო 2014 წლის მაისში. გასულ წელს საბჭოს მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო ფართომასშტაბიანი რეფორმის ინიცირება და გაძღოლა, რადგან ყველა კვლევა, რომელიც მაუწყებელში ჩატარდა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტების მიერ, ადასტურებს, რომ მაუწყებელში მოშლილია ორგანიზაციის ჯანსაღი ფუნქციონირების ყველა პირობა.

რადგან მაისის ბოლოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ჯერ კიდევ არ ქონდა დამტკიცებული მიმდინარე წლის ბიუჯეტი, სამეურვეო საბჭომ ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცებისას მხედველობაში მიიღო რეფორმირების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის პირობაც. საზოგადოებრივი მაუწყებლის და აჭარის ტელევიზიის ბიუჯეტი დამტკიცდა 2014 წლის 18 ივლისს.

თანამშრომელთა რაციონალური რაოდენობის დადგენის და ამის მიხედვით მათი ნაწილის დათხოვნის საკითხი, სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციით მენეჯმენტმა გადადო მაუწყებლის ახალი სტრუქტურის დამტკიცებამდე. საბჭომ თანამშრომლებთან გამართულ შეხვედრაზე შესთავაზა თითოეულ მათგანს ერთი წლის განმავლობაში



ეზრუნა სათანადო ადგილის დასაკავებლად საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში.

სამეურვეო საბჭო, ითვალისწინებდა რა მაუწყებლის არქივის მნიშვნელობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში, საბჭომ მენეჯმენტს დაავალა შექმნილიყო არქივის გადარჩენის და მისი შემდგომი ნორმალური ფუნქციონირების პირობების დამდგენი კომისია. ამ კომისიამ უკვე შეიმუშავა არქივის განვითარების პოლიტიკა.

ორჯერ 2014 წელს და 2015 წელს (შესაბამისად 2013 და 2014 წლის შედეგების შესაფასებლად) საბჭომ გამოაცხადა და ჩაატარა ტენდერი საერთაშორისოდ აღიარებული სააუდიტორო ფირმის მიერ ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად. ტენდერში გამარჯვებული ორივე სააუდიტორო კომპანიის დასკვნის თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური მოღვაწეობა კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია.

2014 -2015 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკვეთით ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ და იმ გზების იდენტიფიცირება, რომლებიც მიმართული იქნება მაუწყებლის მუშაობის გაუმჯობესებაზე. ამ კვლევამაც გამოავლინა უაღრესად რთული სიტუაცია: საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ ასრულებს საზოგადოების დაკვეთას, ვერ ამართლებს იმ სახსრებს, რომელსაც საზოგადოება მისთვის გაიღებს.

ყველაფერი ზემოთ აღნიშნულისგათვალისწინებით სამეურვეო საბჭომ დაავალა მაუწყებლის მენეჯმენტს შეემუშავებინა საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდაქმნის სტრატეგია. ჩამოყალიბდა სტრატეგიაზე მომუშავე მუშა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის მაღალი და საშუალო რგოლის წარმომადგენლები, ასევე მონვეული ექსპერტები. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებს, ასევე, ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებელთა გაერთიანების წარმომადგენელი.

ამჟამად სტრატეგიის დამუშავება ფაქტიურად დასრულებულია. დასრულდა, ასევე, სამეურვეო საბჭოს მიერ მაუწყებლის საპროგრამო პრიორიტეტების პროექტის ჩამოყალიბება და ის განსახილველად გადაეცა მაუწყებლის კოლექტივს და საზოგადოებას.



## ანგარიში

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, მენეჯმენტი და მთელი კოლექტივი უაღრესად რთული და საპასუხიმიგებლო ამოცანის წინაშე დგას. მათ უნდა უპასუხონ საზოგადოების მოთხოვნას და მოლოდინს, იმის შესახებ, რომ ეს მაუწყებელი მოკლე დროში საკუთარი მისიის და ფუნქციის ღირსეულად შესრულებას და ქართულ მედია სივრცეში წამყვანი ადგილის დაკავებას შეძლებს. ამასთან, როგორც 2011 წელს ევროპის მაუწყებელთა კავშირის ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევა აღნიშნავს, მაუწყებელში უაღრესად დრამატული სიტუაციაა, მასში მოშლილია ორგანიზაციის ჯანსაღი ფუნქციონირების ყველა პირობა. ამასვე ადასტურებს ადგილობრივი ექსპერტების მიერ შემდგომ ჩატარებული კვლევები. ეჭვს არ იწვევს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელში ფართომასშტაბიანი რეფორმირებაა ჩასატარებელი.

2014 წლის მაისში როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო მუშაობას შეუდგა, საზოგადოებრივ მაუწყებელსარ ქონდა დამტკიცებული მიმდინარე წლის ბიუჯეტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ის ყოველთვიურად იღებდა წინა წლის დამტკიცებული ასიგნების 1/12 ნაწილს.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს მოთხოვნით მაუწყებლის მენეჯმენტმა რამდენჯერმე შეცვალა როგორც ბიუჯეტის წარმოდგენის ფორმა, ასევე ფინანსთა მუხლობრივი განაწილება. საზოგადოებრივი მაუწყებლის და ასევე, აჭარის ტელევიზიის და რადიოს ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში სამეურვეო საბჭოს კონსულტაციას უწევდა გარედან მონვეული პროფესიონალი ფინანსისტი. საზოგადოებრივი მაუწყებლის და აჭარის ტელევიზიის ბიუჯეტი დამტკიცდა 2014 წლის 18 ივლისს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2014 წლის ბიუჯეტში შევიდა დამატებითი მუხლი, რომლითაც მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი მაუწყებლის ფართომასშტაბიანი რეფორმირების ხელშეწყობისკენ იქნა მიმართული.



რეფორმირების პროცესში ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რომელიც სამეურვეო საბჭომ მიიღო, ეხებოდა მაუწყებლის თანამშრომელთა რაციონალური რაოდენობის დადგენის და მათი სწორად განაწილების საკითხს. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში თანამშრომელთა დიდი რაოდენობა არ არის სრულად დაკავებული და სათანადოდ ვერ ასრულებს სამუშაოს. მაუწყებელში თითოეული თანამდებობისათვის არ არის შექმნილი სამუშაოთა აღწერები და არ არის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მიუხედავად ამისა სამეურვეო საბჭომ, გადაწყვიტა რეკომენდაცია მიეცა მენეჯმენტისათვის, რომ მას არ ჩაეტარებინა მასიური დათხოვნა სამსახურიდან იმ თანამშრომლებისა, რომელთაც კონტრაქტის ვადა ეწურებოდა რადგან არ იყო დადგენილი მაუწყებლის ახალი სტრუქტურა და ამდენად არ არსებობდა მოთხოვნები თანამშრომელთა რაოდენობისა და მათი განაწილების შესახებ. ამასთან გათვალისწინებულ იქნა საქართველოში რთული სოციალური მდგომარეობა. შედეგად, მენეჯმენტმა ერთი წლით ფაქტიურად ყველა თანამშრომელს გაუგრძელა კონტრაქტი, ხოლო სამეურვეო საბჭომ თანამშრომლებთან გამართულ შეხვედრაზე შესთავაზა თითოეულ მათგანს ერთი წლის განმავლობაში ეზრუნა სათანადო ადგილის დასაკავებლად საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში.

სამეურვეო საბჭო, აცნობიერებდა რა მაუწყებლის არქივის უაღრესად დიდ მნიშვნელობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში, მოაწყო რამდენიმე შეხვედრა არქივის თანამშრომლებთან. მენეჯმენტმა მიიღო დავალება სწრაფად გადაეჭრა ოპერატიულად მოგვარებადი პრობლემები. შედეგად, არქივისათვის შექმნილ იქნა 8 კომპიუტერი. მაგრამ ვინაიდან არქივის ნორმალური ფუნქციონირების და მასში შენახული უნიკალური მასალის დაცვა სისტემურ მიდგომას მოითხოვს, მენეჯმენტს მიეცა მითითება შექმნილიყო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა არქივის დაცვისა და განვითარების პოლიტიკას. ეს კომისია შეიქმნა და მან მოამზადა სათანადო დოკუმენტი. არქივის რამდენიმე თანამშრომელმა დამატებით მოამზადა ალტერნატიული დოკუმენტი.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მოთხოვნის თანახმად ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად სამეურვეო საბჭომ და მენეჯმენტმა ჩამოაყალიბა ახალი სატენდერო დოკუმენტაცია და ორჯერ 2014 და 2015 წელს (შესაბამისად 2013 და 2014 წლის შედეგების შესაფასებლად) გამოაცხადა და ჩაატარა ტენდერი. ტენდერის პირობების



მიხედვით მასში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისოდ აღიარებულმა სააუდიტორო ორგანიზაციებმა. 2014 წელს ტენდერში გაიმარჯვა დამოუკიდებელმა სააუდიტორო კომპანიამ „PKF VSV services LLC“, ხოლო 2015 წელს “გრანდ თორნტონ“-მა. ორივე აუდიტის დასკვნის თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური მოღვაწეობა კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია.

2014 -2015 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკვეთით ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ და იმ გზების იდენტიფიცირება, რომლებიც მიმართული იქნება მაუწყებლის მუშაობის გაუმჯობესებაზე. განხორციელდა მასშტაბური რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა მთელ საქართველოში, მათ შორის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. გამოიკითხა 2600 რესპოდენტი. ამდენად, გამოკითხვა იყო რეპრეზენტატიული. თვისობრივი კვლევა მოიცავდა ექსპერტების პირისპირ სიღრმისეულ ინტერვიუებს და დისკუსიას მაყურებელთან. კვლევის შედეგების მიხედვით პრობლემები მოკლედ ასე გამოიყურება:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის არასწორი პოლიტიკა ან სულაც პოლიტიკის არქონა და შესაბამისად თავისი ნიშნის ვერ დამკვიდრება ქართულ მედიასივრცეში;
- ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან გამოყოფილი ხატი იმისა, რომ ის არის სახელმწიფო და არა საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- მაყურებლის მოპოვების მცირე მოტივაცია;
- ნდობის სიმცირე აუდიტორიის მხრიდან;
- გადაცემების დაბალი ხარისხი, ეს ეხება შინაარსს თუ დინამიკას;
- თანამშრომელთა პროფესიონალიზმის დეფიციტი, რომელიც გამოიხატება მათი განათლების სიმცირეში, მეტყველების ხარვეზებში, ვიზუალსა და ქცევის სტილში;
- სპონტანურობისა და ინდივიდუალიზმის ნაკლებობა;
- ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც შეეხება ბადეს, ვიზუალს, სტუდიების დიზაინს და შეფუთვას;
- რეკლამის სიმცირე.



კვლევაში მოცემულია აგრეთვე რესპოდენტთა მიერ გამოთქმული საზოგადოებრივი მაუწყებლის გაუმჯობესების გზები და მისი ფუნქციონირების მიზნები. საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით კრიტიკასთან ერთად რესპოდენტებმა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები აღნიშნეს. ეს უპირველეს ყოვლისა ეხებოდა ახალ ამბებს. ასევე მიუთითეს მაუწყებლის დიკუმენტური სტუდიის ფილმების მაღალ ხარისხზე. აღინიშნა არხის არააგრესიულობა და მოიკერძოებლობა.

ნათელია, რომ ეს დადებითი შეფასება არის გარკვეული რესურსი, თუმცა სამეურვეო საბჭოს, მენეჯმენტსა და მთელ კოლექტივს გადასაწყვეტი აქვს არა მხოლოდ ცალკეული ფუნქციონალური რგოლის თანმიმდევრული რეფორმირების, არამედ, პირველ რიგში, მაუწყებლის, როგორც ერთიანი ინსტიტუტის კონსეფტუალური და ორგანიზაციული -- ე.ი. სისტემური -- გარდაქმნის ამოცანა.

თანამედროვე მსოფლიოში მართვის მონინავე გამოცდილება სამეურვეო საბჭოების ფუნქციონირების მოდუსის სწრაფ ცვლილებას აღნიშნავს. მათ სულ უფრო და უფრო დიდი როლი ეკისრება მათდამი რწმუნებული ორგანიზაციების მართვის საქმეებში. განსაკუთრებით ხაზგასმულია სამეურვეო საბჭოს როლი კრიზისისა და სისტემური ცვლილებების დროს. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ამ გამოცდილებაზე დაყრნობით გარდაქმნის ამოცანის გადაჭრას ჩაუდგა სათავეში.

სამეურვეო საბჭომ დაავალა მაუწყებლის მენეჯმენტს შეემუშავებინა საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდაქმნის სტრატეგია. ჩამოყალიბდა სტრატეგიაზე მომუშავე მუშა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის მაღალი და საშუალო რგოლის წარმომადგენლები, ასევე მონვეული ექსპერტები. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებს, ასევე, ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებლებელთა გაერთიანების წარმომადგენელი.

პარალელურად დაიწყო იმ პირობის შესრულება რაც აუცილებელია ყველა სისტემური გარდაქმნისათვის. ეს არის ორგანიზაციის თანამშრომელთა ჩართვა გარდაქმნის პროცესში. ორგანიზაციების მართვის წარმატებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ თუ ორგანიზაციის თანამშრომლებს არ ესმით გარდაქმნის არსი ან არ ეთანხმებიან მას, რეფორმების განხორციელება დიდი სირთულის წინაშე დგება.



საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებთან: ჟურნალისტებთან, ოპერატორებთან, მენეჯერებთან, ტექნიკურ პერსონალთან და ა.შ.-დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ ჩატარებულ იქნა ათეულობით სამუშაო შეხვედრა. თანამშრომლებმა გამოთქვეს არსებული მდგომარეობის საკუთარი პრობლემური ხედვა, ისაუბრეს მდგომარეობის გამოსწორების, მათ შორის საკუთარი პროფესიული განვითარების, გზებზე. უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომელთა მიერ რეალობა დრამატულად კრიტიკულად არის დანახული, მათ ესმით, რომ აუცილებელია სწრაფი და დიდი ცვლილებები. გარდა ამისა, მაუწყებლის კოლექტივში ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა ჯგუფი, ე.წ. წარმმართველი კოალიცია (guiding coalition), რომელიც განიხილავს გარდაქმნისათვის მომზადებულ ყველა პროექტს და გამოთქვამს შენიშვნებს. ამ ჯგუფის წევრების მოვალეობაა, ასევე, გააცნონ ეს პროექტებითავეიანთი ქვეგანყოფილებების თანამშრომლებს.

სტრატეგიის სხვადასხვა ნაწილების განხილვაში სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სამეურვეო საბჭოს წევრები. მენეჯმენტისა და სამეურვეო საბჭოს ერთობლივი მუშაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის კოლექტივის მიერ შეფასდა, როგორც სიახლე საზოგადოებრივი მაუწყებლის ისტორიაში.

სტრატეგიაში განსაზღვრულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია, ხედვა, სტრატეგიული მიზნები. ჩამოყალიბებულია ხარისხის, მრავალფეროვნების, სიღრმის, ეფექტურობის, კონკურენტუნარიანობის პირობები და მექანიზმები. პრინციპის - ინფორმირება, შემეცნება, გართობა - თანახმად განსაზღვრულია ძირითადი უანრები და თემატიკა.

სტრატეგიაში აქცენტი კეთდება კროსჟანრულ და მულტიმედიურ მაუწყებლობაზე და იმ უნარებზე, რამაც უნდა განაპირობოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმატება.

ცალკე ყურადღება ეთმობა ინტერნეტმაუწყებლობის, როგორც დამოუკიდებელი სამაუწყებლო არხის განვითარების ხედვას.

ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარებას და მათი გამოყენების ეფექტიანობას და გამჭვირვალობას, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი სტრატეგიულ დოკუმენტში.



პროდუქციის ეთერში გაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ახალი სტრუქტურის პროექტი იქნება სიახლე საზოგადოებრივ მაუწყებელში, სადაც ამჟამად ეს პროცესი ფაქტიურად გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს.

ამჟამად მაუწყებლობის გარდაქმნის სტრატეგიის პროექტი დამუშავებულია. ის განსახილველად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ზემოთხსენებული სოციალოგიური კვლევის შედეგების, შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციის, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციების და მულტიმედია სამაუწყებლო სისტემაზე გადასვლის გათვალისწინებით საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ შეიმუშავა მაუწყებლის საპროგრამო პრიორიტეტები, რომლებშიც ერთიანდება მოთხოვნები, როგორც ტელევიზიების, ასევე რადიოს და ინტერნეტპორტალის მიმართ. საპროგრამო პრიორიტეტების პროექტი მისში განსახილველად წარუდგება ფართო საზოგადოებას.

### ფინანსური სამსახური

2014 წლის განმავლობაში გაგრძელდა და კიდევ უფრო დაიხვეწა ის ცვლილებები და რეფორმები, რომლის გატარებაც ფინანსურ ბლოკში მაუწყებლის მენეჯმენტმა 2013 წელს დაიწყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მმართველობითი აღრიცხვისა და ტელეწარმოების ხარჯთაღრიცხვის სისტემა.

მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური რესურსების სწორი მართვისთვის, მაუწყებლის მენეჯმენტმა 2014 წელს გააგრძელა 2013 წელს დასახული პოლიტიკა მიმდინარე საგადასახლო ვალდებულებების პირნათლად შესრულებასთან, მიმდინარე ვალდებულებების დროულ გადახდასთან და წინა წლებში აკუმულირებული დავალიანებების დაფარვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის ფინანსური ასევე შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობა საერთაშორისო დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიების მიერ შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

საზოგადოების მხრიდან მაუწყებლის ფინანსური მდგომარეობის მიმართ მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ფინანსური გამჭვირვალების უზრუნველსაყოფად





მაუწყებლის მიერ მსგავსად 2013 წლისა, 2014 წელსაც ყოველთვიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია თვის ჭრილში მაუწყებლის მიერ განეული საკასო ხარჯების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის ასახული მაუწყებლის მიერ ყოველი თვის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების მოცულობა და მათი მიზნობრიობა.

### იურიდიული სამსახური

2014 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში (“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას) წარმოდგენილ საჩივრებს, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილული იქნა 2 საჩივარი. კერძოდ: ა) არასამთავრობო ორგანიზაციების და ფიზიკური პირის საჩივარი იერუსალიმიდან წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების ტრანსლაციის პროცესში სასულიერო პირის მიერ გაკეთებული კომენტარებისას სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მხრიდან “მაუწყებლობის შესახებ” კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევების თაობაზე და ბ) ფიზიკური პირების საჩივარი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში საინფორმაციო პროგრამა “მოამბე“-ში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით (რომელიც მშობლების მიერ მანქანაში 30 გრადუსიან სიცხეში დატოვებულ და ამის შედეგად გარდაცვლილ, 10 თვის ბავშვს ეხებოდა) საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის და “საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის” მოთხოვნათა დარღვევის შესახებ, რომლებიც დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.



## საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურები

მარკეტინგის სამსახური 2014 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების ანალიზს “people meters”-ების საშუალებით. მომზადდა პირველი არხისა და კონკურენტი არხების შედარებითი ანალიზი ბადის პროგრამირებისათვის. ჩატარდა სარეკლამო ბაზარზე არსებული ფასების და სარეკლამო შეთავაზებების ანალიზი, რის შედეგადაც მომზადდა მედია ბაზრის ზოგადი ანალიზი.

კოორდინაცია გაენია მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საელჩოებთან, ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებთან თანამშრომლობას, კონფერენციებზე, სემინარებზე დასწრებას და საერთაშორისო კონკურსებში მაუწყებლის პროდუქციის გაგზავნას.

წლის მანძილზე მაუწყებელს მიმართა 500-მდე მოქალაქემ (ჩატარებული აქციების გარდა) ძირითადად ესენი იყვნენ: სოციალურად დაუცველები, იპოთეკით დაზარალებულები, სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით, საყოველთაო დაზღვევის პაკეტით და რეცეპტების შემოღებით უკმაყოფილო მოქალაქეები. აღნიშნული თემები გაშუქდა საინფორმაციო პროგრამაში „მოამბე“, „ჩვენი დილა“, „რეალური სივრცე“, ასევე მეორე არხისა და რადიო ერთის სხვადასხვა პროგრამებში.

2014 წლის განმავლობაში მედიისთვის მომზადდა და გაიგზავნა პრესრელიზები, ინფორმაცია ასევე განთავსდა სხვადასხვა ვებპორტალზე და სოციალურ ქსელში. ასევე დაიგეგმა და განხორციელდა პრომო აქტივობების ბადე თითოეული ახალი გადაცემისთვის. 2014 წლის განმავლობაში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუნია სხვადასხვა სფეროს 30-ზე მეტ ღონისძიებას.

## ტექნიკური სამსახური

2014 წელს მოდერნიზაცია ჩატარდა ცენტრალურ სააპარატოს, განხორციელდა ძველი ტიპის სამომხმარებლო კავშირის აპარატურის დემონტაჟი, დამონტაჟდა ახალი ტიპის RIEDEL -ის ფირმის სამომხმარებლო კავშირის აპარატურა ყველა. ახალ Server Room-ში დამონტაჟდა ძალოვანი კვების ფარი 12 კარადისთვის. ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოდან დამონტაჟდა სატელიტური ენკოდერის ელექტრონული ავარიული გადამრთველი I არხის სიგნალის მისაწოდებლად. შეიქმნა ახალი სტუდია.



ტელევიზიის პირველ სართულზე საკუთარი ძალებით დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში გაეშვა ახალი მეექვსე – „კომუნიკატორის“ სტუდია. მეექვსე სტუდიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა სხვადასხვა სახის სატელევიზიო აპარატურა. ასევე ნიუსრუმში მოეწყო ჩართვის კუთხე. მე 3-ე კორპუსში დემონტაჟი გაუკეთდა „ნუის-ტივის“ სტუდიას. პროექტის მიხედვით ასევე გაკეთდა და მომზადდა მეორე არხის მთავარი საეთერო. რადიო 2-ის და რადიოს ცენტრალური სააპარატოს მკვებავ ქსელში დამონტაჟდა ერთიანი უწყვეტი კვების სისტემა. გაშვებული იქნა რადიოპროგრამების აუდიოვიზუალური ჩამწერი-გამშვები მონოკობილობები „Markus-Pro“.

შემუშავდა რადიოპროგრამების აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების ვებ სერვისებზე ატვირთვის და სხვადასხვა პორტალებზე განთავსების პროექტი. რადიოს ტექნიკური სამსახურის მიერ აღმოფხვრილი იქნა ფილმების გახმოვანების სტუდიებში არსებული ის ხარვეზები, რომლებიც უმთავრესად აუდიო ჩანაწერების ხარისხზე აისახებოდა. მიმდინარეობს არსებული ტექნიკური საშუალებების ოპტიმიზაცია, მაქსიმალური ავტომატიზაციის, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ეფექტური გამოყენების თვალსაზრით.

2013-2014 წლების სეზონში ეთერში გავიდა რამდენიმე ახალი პროექტი. მაყურებელთა ინტერესი და პოზიტიური შეფასება დაიმსახურა ახალმა თოქ-შოუმ „რეალური სივრცე“. გადაცემამ შეავსო მთელ ქართულ ტელევიზორებში სოციალურ საკითხებზე პროფესიული და არაანგაჟირებული მსჯელობის არსებული ნიშა.

ყოველ სამუშაო დღეს პირველ არხზე გადის ინტერნეტში ინტეგრირებული სატელევიზიო ინტერაქტიური თოქ შოუ „კომუნიკატორი“. ეს არის უნივერსალური მედია პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მაყურებელს და მომხმარებელს გამოხატოს და იმსჯელოს მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. ქართულ ტელევიზორებში „კომუნიკატორის“ ინოვაცია იმაში მდგომარეობს, რომ პროექტი სატელევიზიო და ინტერნეტმაუწყებლობის სრულფასოვან ჰიბრიდს წარმოადგენს.

დადებითი შეფასება დაიმსახურა, ასევე, ტელეგადაცემამ „სიტყვების თამაში“.



ყოველ კვირა დღეს ღამის ეთერში გადის ახალი გადაცემა „მშვიდობით იარაღი“. პროექტის სამიზნე ჯგუფია ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომლის სურვილია, ტელე-ეთერის საშუალებით მოისმინოს ჩვეულებრივი ადამიანების მიერ გაუღებელი მოსაზრებები არა დებატების, არამედ საუბრის ფორმატში.

დღევანდელ სატელევიზიო ბაზარზე მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი ქმნის ტელედოკუმენტალისტიკის უანრის პროდუქციას. დოკუმენტური ფილმების სტუდიის პროდუქციას აქვს საერთაშორისო აღიარება და მონონებით სარგებლობს მაყურებელშიც. სტუდია გეგმავს უფრო გააძლიეროს ტელედოკუმენტალისტიკის მიმართულება.

რაც შეეხება „მოამბეს“, როგორ სოციოლოგიურმა გამოკითხვამ უჩვენა მაყურებელთა სულ უფრო მზარდი რაოდენობა უყურებს და ენდობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ ამბებს.

ამჟამად საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარეობს 2015-2016 წლის სეზონისათვის მზადება. შედგენილია სამოქმედო გეგმა, ხდება მიმდინარე გადაცემათა შეფასება, როგორც შინაარსისა და ხარისხის, ასევე თითოეული გადაცემის მიერ მოხმარებული ადამიანური და ფინანსური რესურსების კუთხით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა კანონით მისთვის დაკისრებულ ყველა მოვალეობას: ბიუჯეტის კორექტირება ოპერატიული საჭიროებების მიხედვით, მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ყოველკვარტალური საქმიანობის, მათ შორის ფინანსური საქმიანობის შედეგების განხილვა; მაუწყებლის ნორმატიული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა; შემოსული საჩივრების განხილვა; თანამშრომლებთან საქმიანი შეხვედრები და ა.შ.

**დასკვნა.** მაუწყებლის იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული გარდაქმნის ზოგადი ორიენტირი ასეთია: საქართველოს სამაუწყებლო სივრცეში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიმკვიდროს სამაუწყებლო პროდუქციის ხარისხის, მისი სანდოობის, აქტუალობისა და ოპერატიულობის, ასევე ჟურნალისტიკის მაღალი ეთიკური, ესთეტიკური და ინტელექტუალური სტანდარტების დანერგვით.



საზოგადოებრივი  
მაუწყებელი

წლიური ანგარიში- 2014 წელი

საზოგადოებრივი მაუწყებელი იზიარებს სტრატეგიის დეკლარაციის მიერ დადგენილ საზოგადოებრივი მაუწყებლობის ძირითად ფასეულობებს: უნივერსალობა, დამოუკიდებლობა, მაღალი ხარისხი, მრავალფეროვნება, ანგარიშვალდებულება, ინოვაცია.